ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები
NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

სარჩევი:

- ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერები (VASPs) რეგისტრაციის წესი 02
- „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 04
- „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი 2025 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება 05
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონი 07
- “შრომითი მიგრაციის შესახებ” საქართველოს კანონში შესული ცვლილებები 10
- საქართველოს „საპატენტო კანონში“ შესული ცვლილებები 11
- საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში შესული ცვლილებები 12
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები 13

„2023 წლის 10 ივლისის მდგომარეობით საინფორმაციო ბიულეტენში მოცემული მოსაზრებები და შეფასებები არის ინფორმაციული ხასიათის; ისინი არ უნდა იქნას აღქმული, როგორც შ.პ.ს. „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორების“ მიერ გაცემული სამართლებრივი რჩევა."

1. ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერები (VASPs) რეგისტრაციის წესი

2023 წლის 13 ივნისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით №94/04 განისაზღვრა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი. მისი მოთხოვნები ვრცელდება იმ პირებზე, რომელთაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ეკისრებათ ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის ვალდებულება ან აქვთ სურვილი მომავალში განახორციელონ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქმიანობა. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება საფინანსო სექტორის წარმომადგენლებზე, რომლებსაც საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ ვირტუალური აქტივის მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება.

ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი შესაძლებელია იყოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაფუძნებული და რეგისტრირებული იურიდიული პირი (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება), რომელსაც ეროვნული ბანკის მიერ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციის შემდეგ უფლება აქვს საქართველოში განახორციელოს ვირტუალური აქტივის მომსახურება.

საყურადღებოა, რომ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერს უფლება არ აქვს საქმიანი ურთიერთობა დაამყაროს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერთან ან/და ფინანსურ ინსტიტუტთან, რომელიც, არ არის ეროვნული ბანკის მიერ ან უცხო ქვეყანაში ლიცენზირებული/ რეგისტრირებული; რომელიც, არ ექვემდებარება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის კუთხით რეგულირებას/ზედამხედველობას; რომლის ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების შესაბამისად ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიზნით საქართველოს კანონმდებლობის იდენტურ ან უფრო მკაცრ მოთხოვნებს. ამასთან, მათ ეკრძალება მომსახურების გაწევა ისეთი ვირტუალური აქტივით (anonymity-enhanced coin/privacy coin) ან/და ისეთი ტექნოლოგიური მეთოდების/მექანიზმების გამოყენებით, რომლებიც ხელს უშლის ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის მიერ ტრანზაქციის და მასში მონაწილე მხარეების შესახებ ინფორმაციის დადგენას და მიკვლევადობას განაწილებული აღრიცხვის ტექნოლოგიაზე (DLT) დაყრდნობით.

წესი სხვა შეზღუდვებსაც შეიცავს. მაგალითად, დაუშვებელია ფიზიკურ პირებზე ვირტუალური აქტივის სესხად გაცემა. ასევე, დაუშვებელია ვირტუალური აქტივის მომსახურების გაწევა აგენტის მეშვეობით. პროვაიდერს, მიუხედავად იმისა, რომ გააჩნია უფლებამოსილება მის მიერ გაწეული მომსახურების ფარგლებში მომხმარებლისგან მიიღოს საკომისიო/პროცენტი/სარგებელი იმ ვირტუალური აქტივით, რომლის მომსახურებასაც ახორციელებს, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივებისგან შემდგარი პორტფელის მართვისას ეკრძალება საკომისიოს, პროცენტის ან ნებისმიერი ფულადი ან არაფულადი სარგებლის მიღება სხვა პირისგან, გარდა მომხმარებლისა.
ბრძანებით დეტალურად განისაზღვრა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაცია, ადმინისტრატორის და მნიშვნელოვანი წილის მფლობელის/ბენეფიციარი მესაკუთრის

შესაფერისობის კრიტერიუმები. ვინაიდან ვირტუალური აქტივის მომსახურებისთვის მნიშვნელოვანია, სტაბილურობისა და სისტემურობის რისკის თავიდან აცილება, რეგისტარციისთვის წარდგენილ უნდა იქნას ბიზნესგეგმა (სულ მცირე მომდევნო 3 წლის ბიუჯეტის პროგნოზით), რომელიც ადასტურებს , რომ რეგისტრაციისთვის დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს დანერგოს სათანადო და შესაბამისი სისტემები, ასევე, გააჩნია შესაბამისი რესურსები და პროცედურები საქმიანობის განსახორციელებლად და ვირტუალური აქტივის მომსახურების განხორციელების სქემატური აღწერა (ვირტუალური აქტივის ჩამონათვალის მითითებით). ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის მიერ უნდა იქნეს შემუშავებული შესაბამისობის კონტროლის სისტემის დასანერგად შიდა ინსტრუქცია (პოლიტიკა-პროცედურა), მათ შორის, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების ორგანიზაციული რისკის შეფასების დოკუმენტი. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შიდა ინსტრუქციის ნაცვლად დამატებით მოითხოვოს შიდა ინსტრუქციით გათვალისწინებული ინფორმაციის მოწოდება კითხვარის სახით, რომელიც განთავსდება ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე.

აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულია, როგორც მნიშვნელოვანი წილის პირდაპირი/არაპირდაპირი, ბენეფიციარი მესაკუთრის, ასევე ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმების ნეგატიური ჩამონათვალი. წესის მიხედვით, თუ დაინტერესებული იურიდიული პირს, რომელსაც ჰყავს მხოლოდ ერთი აქციონერი/პარტნიორი და, თანაც, ის იმავდროულად ამ იურიდიული პირის დირექტორია, ვალდებულია ჰყავდეს სულ მცირე 2 დირექტორი.

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაინტერესებულ პირს მოსთხოვოს რეგისტრაციაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სხვა დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია და განუსაზღვროს მას აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის ვადა. თუ დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს ამ წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს , ეროვნული ბანკი განუსაზღვრავს მას 30 კალენდარული დღის ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად ან / და წარდგენილი მონაცემების დასაზუსტებლად.

წესი განსაზღვრავს დაინტერესებული პირისათვის ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლებს. მათ შორისაა: წარდგენილ დოკუმენტაციაში მცდარი ინფორმაციის არსებობა, კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობა, ხარვეზის აღმოუფხვრელობა განსაზღვრულ დროში, ობიექტური და დასაბუთებული ეჭვი, რომ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის ადმინისტრატორი საფრთხეს უქმნის ან შესაძლოა მომავალში შეუქმნას ამავე პროვაიდერის ეფექტურ, უსაფრთხო და წინდახედულ მართვას და ბიზნესის უწყვეტობას ან/და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი ან/და ადმინისტრატორი საფრთხეს უქმნის ან შესაძლოა მომავალში შეუქმნას საფინანსო სექტორის სტაბილურობას ან/და სანდოობას.

ეროვნული ბანკი, ამ წესით და მისი დანართი №5-ით განსაზღვრული შესაბამისი სარეგისტრაციო ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენიდან 60 კალენდარული დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის

თქმის თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთებით, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ვადა გააგრძელოს 60 კალენდარული დღით. ბრძანებაში, ასევე, მოწესრიგებულია ეროვნული ბანკის უფლებამოსება, გააუქმოს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაცია. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის განცხადების საფუძველზე, ასევე, კანონის ძალით.

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკი ახორციელებს ვირტუალური მომსახურების პროვაიდერის წილობრივ კონტროლს. ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება პირდაპირ ან არაპირდაპირ შეიძინოს მნიშვნელოვანი წილი ან გაზარდოს თავისი წილი მნიშვნელოვან წილამდე ან გაზარდოს თავისი მნიშვნელოვანი წილი ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერში, რის შედეგადაც კაპიტალის ან ხმის უფლების წილობრივი მაჩვენებელი მიაღწევს ან გადააჭარბებს 20%, 30% ან 50%-ს, ან ეს პროვაიდერი გახდება მისი შვილობილი საწარმო, აღნიშნული განზრახვის შესახებ უნდა შეატყობინოს ეროვნულ ბანკს. დადგენილი მოთხოვნა, ასევე, ვრცელდება იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართ, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება პირდაპირ ან არაპირდაპირ გაასხვისოს ან შეამციროს მისი მნიშვნელოვანი წილობრივი მაჩვენებელი იმგვარად, რომ კაპიტალის ან ხმის უფლების წილობრივი მაჩვენებელი გახდება 20%, 30% ან 50%-ზე ნაკლები ან იმგვარად, რომ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი აღარ იქნება აღნიშნული პირის შვილობილი საწარმო.

გარდამავალი დებულებების მიხედვით ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის III და IV თავებით გათვალისწინებული მოთხოვნების ისეთ კლიენტებზე გავრცელებას, რომლებთანაც დაინტერესებულმა პირმა საქმიანი ურთიერთობა რეგისტრაციის გავლამდე დაამყარა, დაინტერესებული პირი უზრუნველყოფს რეგისტრაციიდან 1 წლის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2024 წლის 1 ივლისისა. პირი, რომელიც ამ წესის ამოქმედებამდე ახორციელებდა ისეთ საქმიანობას, რომელიც მოიცავს სხვა პირის სასარგებლოდ ვირტუალური აქტივის მომსახურების მიწოდებას, ამ წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დაცვას უზრუნველყოფს რეგისტრაციიდან 3 თვის ვადაში.

ეს ბრძანება ამოქმედება 2024 წლის 1 იანვრიდან.

2. „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2023 წლის 16 მაისის ცვლილებები რამდენიმე ძირითად საკითხს შეეხო. მათ შორის, ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია სათანადო პერიოდულობით შეაფასოს და აღრიცხოს თავის საქმიანობასთან დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკები, ხოლო სათავო საწარმოს (სათავო ორგანიზაციის) შემთხვევაში – აგრეთვე ჯგუფის დონეზე არსებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკები კლიენტისა და ბენეფიციარი მესაკუთრის, მათი საქმიანობის არსისა და ადგილსამყოფელი

იურისდიქციის, პროდუქტის, მომსახურების ან მისი მიწოდების საშუალების, გარიგებისა და სხვა რისკფაქტორის საფუძველზე. ამასთან, ის ვალდებულია განახორციელოს ეფექტიანი ღონისძიებები გამოვლენილი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების მართვისა და შემცირების მიზნით.

ცვლილებით ახლებურად ჩამოყალიბდა გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებებისა და გამარტივებული პრევენციული ღონისძიებების მუხლები. გაძლიერებულის შემთხვევაში ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია გამოვლენილი რისკების შესაბამისად მომეტებული რისკის დონისთვის მიკუთვნებული კლიენტის მიმართ განახორციელოს დამატებით კანონით დადგენილი პროცესები, თუმცა, ის არ არის შეზღუდული საკუთარი დისკრეციითაც გამოიყენოს სხვა ეფექტიანი ღონისძიებები გამოვლენილი რისკების სამართავად.

რაც შეეხება გამარტივებულ პრევენციულ ღონისძიებებს, ანგარიშვალდებული პირი უფლებამოსილია გამოვლენილი რისკების შესაბამისად ნაკლები რისკის დონისთვის მიკუთვნებული კლიენტის მიმართ განახორციელოს კონკრეტული კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამ პროცესში აუცილებელია, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მოიპოვოს საკმარისი ინფორმაცია კლიენტის ნაკლები რისკის დონისთვის მიკუთვნების გონივრულობის დასადგენად. დაუშვებელია, ანგარიშვალდებულმა პირმა გამარტივებული პრევენციული ღონისძიებები განახორციელოს ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების მომეტებული რისკის მახასიათებლების არსებობისას.

3. „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი 2025 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება

საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი გამოქვეყნდა თანმდევ საკანონმდებლო პაკეტთან ერთად, რომელიც მიმდინარე წლის 9 თებერვალს იქნა მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ. აღნიშნული კანონის ძალით 2025 წლის პირველი იანვრიდან ძალადაკარგულად ცხადდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი. მიღებული კანონი საჯარო შესყიდვის პროცედურებში ბიზნეს-სუბიექტების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად განსჭვრეტადი გარემოს უზრუნველსაყოფად იქნა შემუშავებული და მიზნად ისახავს სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და ეფექტიანი ხარჯვის გაუმჯობესებას, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობასა და ევრო-რეგულაციებისა და დირექტივების და სხვა საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად საჯარო შესყიდვების სისტემის მოდერნიზებას.

აღნიშნული კანონი საკმაოდ ვრცელია და ჯამში 100 მუხლს აერთიანებს. მის ერთ-ერთ მთავარ ნოვაციას წარმოადგენს საჯარო შესყიდვის ახალი პროცედურები და ინსტრუმენტები, რომლებსაც საჯარო და კერძო სექტორის კონსტრუქციულ და შედეგზე ორიენტირებულ საქმიანობის ხელისშემწყობი ფუნქცია აკისრიათ. სხვა უკვე ცნობილ მექანიზმებთან ერთად საჯარო შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი პროცედურების გამოყენებით: **შეზღუდული პროცედურა, კონკურენტული დიალოგი, წინასწარი გამოქვეყნებით მოლაპარაკების პროცედურა და ინოვაციური პარტნიორობა.** საჯარო შესყიდვის პროცედურები, გარდა წინასწარი გამოქვეყნების გარეშე მოლაპარაკების პროცედურისა, ხორციელდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ამასთანავე, წინასწარი გამოქვეყნების გარეშე მოლაპარაკების პროცედურის შესახებ ინფორმაცია ელექტრონულ სისტემაში უნდა გამოქვეყნდეს. შესყიდვის სახის არჩევის

დისკრეცია ენიჭება შემსყიდველ ორგანიზაციას.

საყურადღებოა, რომ კონკურენტული დიალოგისა და ინოვაციური პარტნიორობის გამოყენებით შესყიდვის განსახორციელებლად სავალდებულო იქნება ფასის და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობის კრიტერიუმის გამოყენება. კონკურენტული დიალოგის პირობებში შემსყიდველი ორგანიზაცია შერჩეულ ეკონომიკურ ოპერატორებთან მართავს კონკურენტულ დიალოგს, რომლის მიზანია შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებების დაკმაყოფილების საუკეთესო საშუალების იდენტიფიცირება/განსაზღვრა. შემსყიდველი ორგანიზაცია დიალოგს განაგრძობს მანამ, სანამ იგი არ შეძლებს საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალების იდენტიფიცირებას. ამ დიალოგის განმავლობაში შესაძლებელია საჯარო შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა ასპექტის (საკითხის) განხილვა.

რაც შეეხება ინოვაციურ პარტნიორობას, ის ორეტაპიანი პროცედურაა. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის პირობებში მიუთითოს ინოვაციური (მათ შორის, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული) საქონლის, სამუშაოს ან/და მომსახურების (მათ შორის, კვლევისა და განვითარების) საჭიროება, რომელიც საქართველოს ან საერთაშორისო ბაზარზე არსებული საქონლის, სამუშაოს ან/და მომსახურების შესყიდვით ვერ დაკმაყოფილდება. მან უნდა მიუთითოს აგრეთვე შესყიდვის ობიექტის ელემენტი, რომელიც განსაზღვრავს ყველა წინადადების მიერ დასაკმაყოფილებელ მინიმალურ მოთხოვნებს. ინოვაციური პარტნიორობის განხორციელების შემთხვევაში ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობის კრიტერიუმის გამოყენება სავალდებულოა. შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეიძლება ინოვაციური პარტნიორობა დაიწყოს ერთ პარტნიორთან ან რამდენიმე პარტნიორთან, რომლებიც კვლევისა და განვითარების საქმიანობებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ახორციელებენ.

თანაბარი მოპყრობა, ღიაობა და განსჭვრეტადობა ყველა პროცედურის ბაზისური პრინციპებია. კანონში გათვალისწინებულია საჯარო შესყიდვის ისეთ ახალი ინსტრუმენტებიც, როგორებიც არის **ჩარჩო შეთანხმება** და **დინამიკური შესყიდვის სისტემა.** ჩარჩო შეთანხმება არის ერთ ან რამდენიმე შემსყიდველ ორგანიზაციასა და ერთ ან რამდენიმე ეკონომიკურ ოპერატორს შორის დადებული შეთანხმება, რომლის მიზანია ამ შეთანხმების ფარგლებში დასადები შესყიდვის ხელშეკრულებების პირობების დადგენა, კერძოდ, შესყიდვის ობიექტის მოსალოდნელ ფასთან და, საჭიროების შემთხვევაში, რაოდენობასთან დაკავშირებით. ჩარჩო შეთანხმების მოქმედების ვადა 4 წელს არ უნდა აღემატებოდეს, გარდა სათანადოდ დასაბუთებული შემთხვევისა, რომელიც ჩარჩოშეთანხმების საგნიდან გამომდინარეობს. კანონითვე განსაზღვრულია ჩარჩო შეთანხმების გამოყენების სხვა პირობები.

დინამიკური შესყიდვის სისტემა ხორციელდება მხოლოდ ელექტრონული საშუალებებით და გამოიყენება ბაზარზე ფართოდ გავრცელებული და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი შესყიდვის ობიექტის შესასყიდად, როდესაც ამ შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები აკმაყოფილებს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს. დინამიკური შესყიდვის სისტემა არ გამოიყენება ინდივიდუალურად განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის შესასყიდად. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტი კატეგორიებად დაყოს, საჯარო შესყიდვის თავისებურებიდან გამომდინარე, რაც უნდა დასაბუთდეს. ეს თავისებურება შეიძლება უკავშირდებოდეს შესყიდვის ხელშეკრულების მაქსიმალურ დასაშვებ

მოცულობას ან გეოგრაფიულ არეალს, რომლის ფარგლებშიც დაიდება შესყიდვის ხელშეკრულება.

ასევე, ხაზგასასმელია, რომ „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი საჯარო შესყიდვების მომზადების (თავი VII) ახლებურ მოწესრიგებას გვთავაზობს, რომელთა მიზანი შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის შესყიდვების ხარვეზებით წარმართვის თავიდან აცილებაა. შემსყიდველი ორგანიზაცია საჯარო შესყიდვებს უნდა ახორციელებდეს წინასწარ განსაზღვრული წლიური გეგმის შესაბამისად. ამ გეგმის შემუშავების, დამტკიცებისა და წარდგენის წესი დგინდება სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით. სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებითვე დგინდება **ბაზრის კვლევა,** რომელიც სავალდებულო იქნება შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია განახორციელოს, აგრეთვე, ბაზრის პირველადი კვლევა წლიური გეგმის შესამუშავებლად.

კანონის 50-ე მუხლი განსაზღვრავს ეკონომიკური ოპერატორის შერჩევის კრიტერიუმებს, რომლებიც ეფუძნება: მისი პროფესიული საქმიანობის შესაბამისობას; მის ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობას; მის ტექნიკურ და პროფესიულ შესაბამისობას. ეკონომიკური ოპერატორის შერჩევის კრიტერიუმების მიზანი უნდა იყოს მხოლოდ იმის შემოწმება, აქვს თუ არა ეკონომიკურ ოპერატორს დასადები შესყიდვის ხელშეკრულების შესრულებისთვის საჭირო სამართლებრივი, ფინანსური, ტექნიკური და პროფესიული შესაძლებლობები. შესყიდვის პირობებით განსაზღვრული ნებისმიერი მოთხოვნა შესყიდვის ობიექტს უნდა უკავშირდებოდეს და მისი პროპორციული უნდა იყოს.

კანონის ტექსტშივე განისაზღვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმები. ის შეიძლება დაეფუძნოს დაბალ ფასს, ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობას ან ეკონომიკურ ეფექტიანობას, როგორიცაა – სასიცოცხლო ციკლის დანახარჯი. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული იქნება, შესყიდვის პირობებში აგრეთვე გაითვალისწინოს მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელი მახასიათებლები.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ 2029 წლიდან სავალდებულო იქნება **საჯარო შესყიდვის სპეციალისტების სერტიფიცირება.** სერტიფიკატს სერტიფიცირების საფუძველზე გასცემს სააგენტო. 2027 წლიდან საქართველოს მთავრობის აქტით შეიქმნება ცენტრალური შემსყიდველი ორგანო, რომლის სახელმწიფო კონტროლს განახორციელებს საქართველოს მთავრობა. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია თავის სტრუქტურაში/საშტატო ნუსხაში განსაზღვროს საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული/პირი. იქმნება ეთიკის კოდექსიც, რომელიც მტკიცდება სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით.

კანონით გათვალისწინებულია მისი ამოქმედების განსხვავებული თარიღები. კერძოდ, კანონის ძირითადი დებულებები ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვარიდან, ხოლო სხვა ცალკეული საკითხების ამოქმედების ვადად განსაზღვრულია 2027 და 2029 წელი.

4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონი

2023 წლის 14 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო კანონი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რომელიც ჯერ კიდევ 2019 წელს იქნა ინიცირებული. აღნიშნული კანონი 2024 წლის 1 მარტიდან ამოქმედდება და სრულად მოდერნიზებულ, საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებულ მიდგომებს შეიცავს მონაცემების დამუშავების კუთხვით.

კანონი რამდენიმე მნიშვნელოვან განვითარებას შეიცავს. ახალი კანონი ადგენს **განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების** უფრო ფართო საფუძვლებს და მსგავსად ჩვეულებრივი მონაცემებისა, ისიც ექვემდებარება გასაჯაროებას მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის პირობებში. ასევე, გაუქმდა აკრძალვა, რომელიც სუბიექტის თანხმობის გარეშე განსაკუთრებული მონაცემების გასაჯაროებას ზღუდავდა.

კანონში ღიაობაა **სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის** მიმართულებითაც. გათვალისწინებულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2020 წლის 1 მაისიდან ძალადაკარგულად გამოცხადებულ ნორმები და განისაზღვრა, რომ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტის „საერთო სასამართლოების შესახებ “ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის ან გამოქვეყნების მიზნით. ახალი კანონით ასევე დადგინდა საარქივო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა.

აღსანიშნავია, რომ კანონი კრძალავს **სარეკლამო შეტყობინებებისთვის პერსონალური მონაცემების დამუშავებასა** და შესაბამისად პირდაპირი მარკეტინგის მიზნით შეტყობინებების გაგზავნას მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ მისი მონაცემების გამოხმობის მოთხოვნის მიღებიდან მაქსიმუმ 7 სამუშაო დღეში შეწყვიტოს მოთხოვნის დამუშავება. ამასთან, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი /დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტის მიერ მის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის მიცემისა და თანხმობის გამოხმობის დრო და ფაქტი აღრიცხოს და შეინახოს პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების ვადით და პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების შეწყვეტიდან 1 წლის განმავლობაში .

კანონს მნიშნველოვანი დათქმები დაემატა **არასრულწლოვნის მონაცემების დამუშავების მიმართულებითაც.** განისაზღვრა **აუდიო და ვიდეო მონიტორინგის** პირობებში მონაცემების დამუშავების ფარგლებიც. კანონის თანახმად, ვიდეომონიტორინგის განხორციელება დასაშვებია დანაშაულის თავიდან აცილების , მისი გამოვლენის , საზოგადოებრივი უსაფრთხოების , პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის , არასრულწლოვანის დაცვის (მათ შორის , მავნე ზეგავლენისგან დაცვის), საიდუმლო ინფორმაციის დაცვის , გამოცდის /ტესტირების მიზნებისთვის , აგრეთვე სხვა საჯარო ან /და სხვა ლეგიტიმური ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად , თუ ვიდეომონიტორინგის განხორციელება მონაცემთა დამუშავების მიზნის ადეკვატური და პროპორციული საშუალებაა. ამასთან, განისაზღვრა, რომ დასაქმებული პირის სამუშაო პროცესის /სივრცის ვიდეომონიტორინგი დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში , თუ განსაზღვრული მიზნების მიღწევა სხვა საშუალებით შეუძლებელია ან დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან . ამასთან, ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი უნდა შეიცავდეს შესაბამის წარწერას , მარტივად აღქმად გამოსახულებას ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის თაობაზე და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სახელწოდებასა და მის საკონტაქტო მონაცემებს. რაც შეეხება აუდიო

მონიტორინგს, მისი განხორციელება დასაშვებია:

ა) მონაცემთა სუბიექტის თანხმობით ;

ბ) საოქმო ჩანაწერის საწარმოებლად ;

გ) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად , თუ განსაზღვრულია სათანადო და კონკრეტული ღონისძიებები მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

დ) საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში .

აუდიო მონიტორინგის პირობებში აუცილებელია წინასწარი გაფრთხილება.

საინტერესო სიახლეს წარმოადგენს **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიცია.** ნებისმიერი საჯარო დაწესებულება (გარდა რეგილიგიური და პოლიტიკური ორგანიზაციებისა), სადაზღვევო კომპანიები, კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო ბიუროები, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიები, ავიაკომპანიები, ეროპორტები, სამედიცინო დაწესება, რომელიც მომსახურებას უწევს წელიწადში არანაკლებ 10 000 მონაცემთა სუბიექტს, და ორგანიზაცია, რომელიც ამუშავებს დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების მონაცემებს ან ახორციელებს მათი ქცევის სისტემატურ და მასშტაბურ მონიტორინგს, ვალდებულია ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც უფლებამოსილია სხვა ფუქნციებიც შეითავსოს.

ახალი კანონით მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული **ინფორმაციის აღრიცხვა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულება** განისაზღვრა. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია აღრიცხოს ინციდენტი , დამდგარი შედეგი , მიღებული ზომები და ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა მის შესახებ წერილობით ან ელექტრონულად შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს , გარდა იმ შემთხვევისა , როდესაც ნაკლებსავარაუდოა , რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან /და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

კანონით გაზრდილი უფლებები გააჩნია **მონაცემთა სუბიექტებს.** მაგალითად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს , დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა დამუშავების (მათ შორის , პროფაილინგის) შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება. მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი) უნდა შეწყდეს მონაცემთა დამუშავება ან /და მონაცემები უნდა წაიშალოს ან განადგურდეს ან მონაცემთა სუბიექტს უნდა ეცნობოს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განემარტოს უარის გასაჩივრების წესი. მონაცემთა სუბიექტს, ასევე, უფლება აქვს , მის შესახებ მონაცემთა საჯაროდ ხელმისაწვდომი ფორმით დამუშავების შემთხვევაში დამატებით დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მონაცემთა ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ან მონაცემთა ასლების ან მონაცემებთან დამაკავშირებელი ნებისმიერი ინტერნეტბმულის წაშლა. მას ასევე აქვს, მონაცემთა დაბლოკვის უფლება. კანონი, ასევე, აწესრიგებს შემთხვევებს რა დროსაც შესაძლოა მონაცემთა სუბიექტის უფლებები შეიზღუდოს.

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ ახალი კანონი ვრცლად საუბრობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევასა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხებზე. თითოეული

სამართალდარღვევის პირობებში გაზრდილია ჯარიმის ოდენობებიც.

5. შრომითი მიგრაციის შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები

2023 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდება **„შრომითი მიგრაციის კანონში“** შესული ცვლილებები, რომელთა მიღების ძირითად მიზანს, მიგრაციის რეგულირებისათვის განვითარებული სამართლებრივი საფუძვლის შექმნა, ასევე, შრომითი ემიგრაციისა და იმიგრაციის ეფექტურად მართვა წარმოადგენს. თანმდევი ცვლილებები განხორციელდა, ასევე, საქართველოს შრომის კოდექსსა და შრომის ინსპექციის შესახებ, უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, დასაქმების ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონებში.

შრომითი მიგრაციის ნაწილში კანონს დაემატა ახალი ტერმინი „საშუამავლო კომპანია“, რომელიც წარმოადგენს იურიდიული პირს, ინდივიდუალური მეწარმეს ან უცხო ქვეყნის საწარმოს ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალს (წარმომადგენლობა, მუდმივი დაწესებულება), რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია საქართველოს მოქალაქეების ან საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელების საქართველოს ფარგლების გარეთ შრომით მოწყობასთან ან/და შრომით მოწყობაში დახმარებასთან.

საშუამავლო კომპანიები დაექვემდებარებიან სერტიფიცირებას, ასევე, ვალდებულნი იქნებიან დარეგისტრირდნენ ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში. კანონი დაარეგულირებს საშუამავლო კომპანიის საქმიანობის სერტიფიკატისა გაუქმების და საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის აკრძალვის საფუძვლებსა და პროცედურებს.

კანონში განხორციელებული ცვლილებები შეეხო შრომით იმიგრანტსა და ადგილობრივ დამსაქმებელს შორის არსებულ ურთიერთოებებს. მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან ადგილობრივი დამსაქმებელი ვალდებულია განახორციელოს შრომითი იმიგრანტის რეგისტრაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. აღნიშნული რეგისტრაცია გახდა D1 საიმიგრაციო ვიზისა და შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა.

ცვლილებებით განსაზღვრულია მოთხოვნები შრომით იმიგრანტსა და ადგილობრივ დამსაქმებელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებასთან მიმართებით. ამასთან, ადგილობრივი დამსაქმებელი ვალდებულია 2023 წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიაწოდოს ინფორმაცია მასთან 2023 წლის 1 სექტემბრამდე დასაქმებული შრომითი იმიგრანტის შესახებ.

შრომითი მიგრაციის სფეროში, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილი იქნება, საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის (მოთხოვნა-მიწოდება) გათვალისწინებით: შეზღუდოს უცხოური სამუშაო ძალის მოზიდვა იმ პროფესიით ან სპეციალობით შრომითი მოწყობის მიზნით, რომელიც არ მოითხოვს მაღალკვალიფიციურ შრომას ან რომელშიც საქართველოს შრომის ბაზარზე ადგილობრივი სამუშაო ძალის

მიწოდება აჭარბებს (ან გადააჭარბებს) მასზე მიმდინარე ან სამომავლო მოთხოვნას; წაახალისოს უცხოური სამუშაო ძალის მოზიდვა ისეთი პროფესიით ან სპეციალობით შრომითი მოწყობის მიზნით, რომელიც მოითხოვს მაღალკვალიფიციურ შრომას ან რომელშიც საქართველოს შრომის ბაზარზე ადგილობრივი სამუშაო ძალის მიწოდება ვერ აკმაყოფილებს (ან ვერ დააკმაყოფილებს) მასზე მიმდინარე ან სამომავლო მოთხოვნას.

ცვლილებების პაკეტით განსაზღვრულია პასუხისმგებლობის ზომებიც. კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევაზე კონტროლი განხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ, რომელიც უფლებამოსილი იქნება ნორმების დარღვევისთვის დააკისროს სამართალდამრღვევს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და ადმინისტრაციული სახდელები.

6. საქართველოს „საპატენტო კანონში“ შესული ცვლილებები

საქართველოს „საპატენტო კანონში“ შესული ცვლილებების ძირითად მიზანს საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას შორის ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ 2019 წლის 31 ოქტომბერს ხელმოწერილი შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი ვალდებულების შესრულება, ასევე, საქართველოს საპატენტო კანონის ევროპის საპატენტო კონვენციასთან, ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან და საპატენტო კანონის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებასთან შესაბამისობაში მოყვანა წარმოადგენს.

შესული ცვლილებებით საპატენტო კანონში, უპირველესად, განიმარტა და დაზუსტა დეფინიციები, მათ შორის: „გამომგონებელი“, „პატენტი“, მოწმობა“, „პატენტრწმუნებული“, „ბუდაპეშტის ხელშეკრულება“, „ბიოლოგიური მასალა“, დეპოზიტარიუმი“.

აღსანიშნავია, რომ ცვლილებების საფუძველზე, მუხლი დასაიდუმლოებელი გამოგონების შესახებ, შესაბამისობაში იქნა მოყვანილი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონთან და დაზუსტდა, რომ შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობიდან გამომდინარე, დასაიდუმლოებულ გამოგონებაზე საპატენტო განაცხადსა და პატენტს საქპატენტი გამოაქვეყნებს მხოლოდ გამოგონების განსაიდუმლოების შემდეგ, ამ უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

ამასთანავე, დაზუსტდა გამოგონების პატენტუნარიანობის კრიტერიუმები, რომელთა შორის, აღსანიშნავია ის, რომ პატენტი გაიცემა ტექნიკის ნებისმიერ დარგში ისეთ გამოგონებაზე, რომელიც აკმაყოფილებს გამოგონების პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს - სიახლეს, საგამომგონებლო დონესა და სამრეწველო გამოყენებადობას.

ცვლილებების ფარგლებში დაზუსტდა ობიექტები, რომლებზეც არ გაიცემა პატენტი, და ჩამონათვალს დაემატა შემდეგი ობიექტი: სასარგებლო მოდელი, რომელიც ეხება მიკროორგანიზმთა შტამებს, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურებს,

ბიოტექნოლოგიისა და გენური ინჟინერიის ობიექტებს, ქიმიური ხერხით მიღებულ ნივთიერებებს, მათ შორის, ფარმაცევტულ ნივთიერებებს.

საპატენტო კანონში შესულ ცვლილებათაგან, მნიშვნელოვანია ახალი, IV[1] თავის დამატება პატენტრწმუნებულის შესახებ, რომელიც ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული თავის მიხედვით, საქპატენტში განმცხადებლის ან პატენტის მფლობელის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს მისმა წარმომადგენელმა ან/და, არსებობის შემთხვევაში, საქართველოს პატენტრწმუნებულმა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ განმცხადენელი ან პატენტის მფლობელი, რომელსაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან არ აქვს რეგისტრირებული იურიდიული მისამართი საქართველოში, ვალდებულია, საქპატენტში წარმომადგენლად დანიშნოს პატენტრწმუნებული.

დამატებით, ხსენებული თავით, განისაზღვრა საქართველოს პატენტრწმუნებულის საქპატენტში რეგისტრაციის წესი და დაზუსტდა აღნიშნული პირისთვის დაწესებული კვალიფიკაციათა ჩამონათვალი. ცვლილებების საფუძველზე დარეგულირდა ევროპული პატენტების საქართველოში ვალიდაციის როგორც პირობები, ასევე, პროცედურები.

საპატენტო კანონში შესული ცვლილებები, გარდა ხსენებული გამონაკლისებისა, ამოქმედდა მათი გამოქვეყნებისთანავე, 2023 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს საპატენტო კანონის თანმდევი სიახლეები

საქართველოს საპატენტო კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე, თანმდევი, ტერმინოლოგიური, ცვლილებები განხორციელდა შემდეგ კანონებში:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსში - ტერმინი „პატენტი“ შეიცვალა ტერმინით „მოწმობა“;
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში - სასარგებლო მოდელთან მიმართებით, ტერმინი „პატენტი“ შეიცვალა ტერმინით - „მოწმობა“, აგრეთვე, ტერმინი - პატენტით დაცული სასარგებლო მოდელი“ შეიცვალა ტერმინით - „რეგისტრირებული სასარგებლო მოდელი“;
- „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ტერმინი „პატენტზე განსაკუთრებული უფლებები“ შეიცვალა ტერმინით „გამოგონებაზე და სასარგებლო მოდელზე განსაკუთრებული უფლებები“.

7. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში შესული ცვლილებები

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად 2024 წლის 1 იანვრიდან მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპებზე განმცხადებელი ვალდებული იქნება წარადგინოს გამწვანების პროექტი, რაც

გულისხმობს – სამშენებლო ტერიტორიაზე დაგეგმილი გამწვანების სივრცის მოწყობის პროექტს, რომელიც შესაძლებელია ითვალისწინებდეს შესაბამის ადგილზე არსებულ მწვანე ნარგავს/ნარგავებს, მათ შორის, მერქნიან მცენარეებს (ხე, ბუჩქი) და არამერქნიან მცენარეებს, მათი საკომპენსაციო რგვის განხორციელებას ან/და მწვანე ნარგავების გაშენებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კერძოდ, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატება: 1) ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ, რომელშიც აღწერილია სავარაუდო გამწვანების პროექტი (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა); და 2) ექსპერტის დასკვნა მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავის/ნარგავების აღწერისა და ხარისხობრივი შეფასების შესახებ და ტოპოგრაფიულ გეგმა, რომელზედაც აღნიშნულია მწვანე ნარგავები ექსპერტის დასკვნით მინიჭებული ნომრების მიხედვით (გარდა იმ ფუნქციური ზონისა, რომელშიც გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი განსაზღვრული არ არის).

ასევე, მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე სანებართვო განაცხადზე თანდართულ დოკუმენტებს დაემატება: 1) გამწვანების პროექტი (განაშენიანების დეტალური გეგმის არსებობის შემთხვევაში – ამ გეგმის ფარგლებში შეთანხმებულ გამწვანების პროექტი), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული გამწვანების მინიმალური კოეფიციენტით განსაზღვრული ფართობი, გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობა და დახასიათება (მათ შორის, ხნოვანება, გარშემოწერილობა, სიმაღლე), გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი, გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობისთვის პასუხისმგებელი პირი, აგრეთვე ფოტომონტაჟის სახით მოცემული უნდა იყოს გამწვანების პროექტის გამოსახულება (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და იმ შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმებაც მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი განსაზღვრული არ არის); და 2) დამატებითი საინფორმაციო დაფის ამსახველი ფოტოსურათები, რომელზედაც მითითებულია ინფორმაცია სამშენებლო ობიექტზე გამწვანების მინიმალური კოეფიციენტით განსაზღვრული ფართობის ათვისების, გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების შესახებ.

ამასთან, ნებართვის მფლობელმა ნებართვის დადგენილი წესით გაცემიდან 10 დღის ვადაში არსებული საინფორმაციო დაფის გვერდით უნდა განათავსოს სხვა, დამატებითი საინფორმაციო დაფა, რომელზედაც უნდა მიეთითოს ინფორმაცია სამშენებლო ობიექტზე გამწვანების მინიმალური კოეფიციენტით განსაზღვრული ფართობის ათვისების, გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების შესახებ.

8. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სამოქალაქო საპორცესო კოდექსში 2023 წლის 13 ივნისს ამოქმედებულ ცვლილებას საფუძვლად დაედო საქართველოს პარლამენტის მიერ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციისა“ და „შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის“ რატიფიცირება, რის საფუძველზეც, განსხვავებული რედაქციით ჩამოყალიბდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი და შეიცვალა ახლად აღმოჩენილ გარემობათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

ამჟამინდელი რედაქციით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ – კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგინდა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი გადაწყვეტილება ამ დარღვევას ეფუძნება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილება, ასევე, შევიდა 2023 წლის 13 აპრილს. ცვლილების საფუძველი გახდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე „შპს იხტიოსი“, ზაზა პატარიძე, ნიკოლოზ ბერიაშვილი, შალვა ონიანი, ვახტანგ კობეშავიძე და მანანა ხარხელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. აღნიშნული გადაწყვეტილებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, არაკონსტიტუციურად სცნო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1[1] მუხლის პირველი და მეორე წინადადებები, რომლებიც ითვალისწინებდა ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშრებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებად მიქცევას, თუ ეს პირდაპირ იყო გათვალისწინებული ხელშეკრულებით. ასევე, მიუთითებდა, რომ ამ შემთხვევაზე არ ვრცელდებოდა 268-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. ზემოთხსენებული მუხლის პირველი და მეორე წინადადებები ძალას დაკარგავს 2023 წლის 1 ოქტომბრიდან.

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველო, ქ. თბილისი,

ვაჟა - ფშაველას გამზირი 71, ბლოკი IV,

სართული IV, ოფისი 28

ტელ: (+995) 322 207407 (ext. 101)

მობილური: (+995) 555 018585

ელ-ფოსტა: info@nplaw.ge

www.nplaw.ge

NODIA,
URUMASHVILI
& PARTNERS